გურჯაანის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(332) 2025 წ. 16-31 მარტი ფასი 1 ლარი

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მაღალპროდუქტიულობისათვის

გარემოს *დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი* **დავით სონღულაშვილი**, *კახეთის სახელმწიფო რწმუნებულ* **გიორგი ალადაშვილთან** ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ საირიგაციო პროექტებს გაეცნო.

მინისტრმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, 165 ათას ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია.

„ირიგაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობის განვითარების. ფაქტობრივად, შეუძლებელია ირიგაციის სისტემების გარეშე გამართული, მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის წარმოება. ამისთვის მნიშვნელოვანია ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ხორციელდება. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ კახეთში, 135 მლნ ლარის ინვესტიცია არის განხორციელებული. უმნიშვნელოვანესია ახალი პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან ერთად ვიწყებთ, ეს არის 150 მლნ ევროს ღირებულების პროექტი, რომლითაც სისტემის საკმაოდ დიდი ნაწილი იქნება რეაბილიტირებული, განახლებული და რაც, თავისთავად ცხადია, სოფლის მეურნეობის განვითარებას და მაღალპროდუქტიულობას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა **დავით სონღულაშვილმა.**

ყველის რესურსების დაცვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, რამდენიმე ასეული მარადმწვანე მცენარის ნერგი იქნა შეძენილი, რომელიც შერჩეულ ლოკაციებზე გადანაწილდება და გამწვანების აქცია გაიმართება.

აქციის ფარგლებში, სხვადასხვა სახეობის ნერგები სკოლებში, ბაღებსა და რეკრეაციულ ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის ჩართულობით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად დაირგვება.

გარემოს დაცვის კამპანიის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მსგავსი აქციები ყოველწლიურად იმართება.

მიულოცეს „ნოვრუზ ბაირამი“

21 **მარტს** *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი* **ავთანდილ გულიკაშვილი**, *კახეთის მხარის რწმუნებულთან* **გიორგი ალადაშვილთან**, *საკრებულოს თავჯდომარე* **ალექსი გილაშვილთან**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და *რესურსცენტრის ხელმძღვანელ-* **ლელა ფანოზიშვილთან** ერთად სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

მოსწავლეებმა პერფორმანსის სახით წარმოადგინეს ტრადიციული დღესასწაულის მნიშვნელობა და სანახაობრივი კულტურული პროგრამა შემოგვთავაზეს.

ავთანდილ გულიკაშვილმა აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს დღესასწაული მიულოცა:

“ჩემო თანამოქალაქეებო, გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს და გაზაფხულის შემობრძანებას! დღეს, აქ იმისთვის ვარ, რომ ეს დღესასწაული მოგილოცოთ. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ ღონისძიებისთვის, შრომისთვის - პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს.

თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს ვუსურვებ წარმატებას, ხვავსა და ბარაქას. ნოვრუზ ბაირამი ოჯახური დღესასწაულია და საქართველო, როგორც ერთიანი ოჯახი, თითოეული ჩვენი მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, ამ დღესასწაულის თანაზიარია.

ჩვენ, მრავალწლიანი მეგობრობა გვაკავშირებს, ერთი ქვეყნის შვილები ვართ. პირველ რიგში გვაერთიანებს სურვილი - გვქონდეს მშვიდობა და კეთილდღეობა”! - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

სასურსათო ამანათები გადასცეს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებს ესტუმრა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სასურსათო ამანათები გადასცა და ადგილობრივებს სახალხო დღესასწაული - “ნოვრუზ ბაირამი” მიულოცა.

2009 წლის 28 სექტემბრის იუნესკოს სამიტზე ნოვრუზი ოფიციალურად შეიტანეს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, ხოლო 2010 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო დღედ აღიარა. 2010 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 21 მარტი ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა.

ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ყველა ოჯახში მწვანე ჯეჯილი უნდა იყოს. ასევე, იღებება კვერცხები და ცხვება ტკბილეული.

21 მარტს დღისა და ღამის გათანასწორების, ჰაერის გათბობის, თოვლის დნობის დაწყების, ხეებზე ყლორტის გამოსვლისა და დედამიწის გამოცოცხლების, ანუ სიცოცხლის დაწყების დღედ მიიჩნევენ და შესაბამისად, ნოვრუზ ბაირამიც გაზაფხულის შემოსვლის დღესასწაულია.

ავთანდილ გულიკაშვილმა მუსლიმ თანამოქალაქეებს ბაირამის დღესასწაული მიულოცა და კიდევ ერთხელ აღნიშნა:

„ჩემო თანამოქალაქეებო, გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს და გაზაფხულის შემობრძანებას! დღეს, აქ იმისთვის ვარ, რომ ეს დღესასწაული თქვენთან ერთად ვიზეიმოთ და თქვენი სიხარული გავიზიაროთ. თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს ვუსურვებ წარმატებას, ხვავსა და ბარაქას. ნოვრუზ ბაირამი ოჯახური დღესასწაულია და საქართველო, როგორც ერთიანი ოჯახი, თითოეული ჩვენი მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, ამ დღესასწაულის თანაზიარია”.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა-2024

ხიდის რეაბილიტაცია

სოფელ იორმუღანლოში, ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები დასკვნით ფაზაშია.

***მუნიციპალიტეტის მერი* ავთანდილ გულიკაშვილი**, პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელს შეხვდა და რეკომენდაციები გააცნო. პროექტი სტიქიის ფონდის ბიუჯეტიდან

804'998,93 ლარით ფინანსდება და სამუშაოები მალე დასრულდება.

აღნიშნული ხიდი, ამ ეტაპისათვის, ძირითადი დამაკავშირებელი მონაკვეთია მუნიციპალიტეტის ცენტრსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 8 სოფელს შორის.

გასულ წელს, მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შესწავლილი იქნა დაზიანებული ხიდის არსებული მდგომარეობა, რომლის შეფასების საფუძველზეც, მოხდა პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, პირველ მოადგილესთან ერთად სოფელ კოჭბანს ესტუმრა, სოფელში ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი - კოჭბანსა და გორანას დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები ადგილზე მოინახულა და მოსახლეობას დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.



საგარეჯო-ბადიაურის ავტომაგისტრალი

საგარეჯო-ბადიაურის 4-ზოლიანი ავტომაგისტრალის 17-კილომეტრიანი მონაკვეთი წელს გაიხსნება.

პროექტს მსოფლიო ბანკი 277 მილიონი ლარით აფინანსებს. შენდება 4 ხიდი, 8 გზაგამტარი და 86 წყალგამტარი მილი. შეგახსენებთ, რომ 2024 წელს უკვე გაიხსნა კახეთის ახალი ავტომაგისტრალის 35-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის მშენებლობაზეც 527 მილიონი ლარი დაიხარჯა.

რეკრეაციული სივრცე

სოფელ თოხლიაურში, ახალი რეკრეაციული სივრცის მშენებლობა მიმდინარეობს.

ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით, პროექტი უკვე დასრულების ფაზაშია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა**, პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** და სოფლის წარმომადგენელთან ერთად სამუშაოები ადგილზე მოინახულა და ადგილობრივ მოსახლეობას 2025 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, გასართობი, სპორტული და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც აქტიურად გაგრძელდება.

საგარეჯო – რუკაზე ტურისტული ლოკაცია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, თავისი დაცული ტერიტორიებით, ფერადი უდაბნოთი, ისტორიული ციხე - ქალაქითა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსით ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ტურისტების სამოგზაურო რუქაზე მონიშნულია, როგორც საინტერესო ტურისტული ლოკაციების მქონე და დედაქალაქთან ყველაზე ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტი.

მარიამჯვრის დაცული ტერიტორიები - ერთ- ერთი, ულამაზესი ტურისტული მიმართულებაა კახეთში, რომელიც აერთიანებს 4 დაცულ ტერიტორიას: მარიამჯვრის ნაკრძალი, ყორუღის აღკვეთილი, იორის აღკვეთილი და ცივ-გომბორის აღკვეთილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჩასული ტურისტი გაივლის უდაბნოს საოცარ ლანდშაფტს და ეწვევა ნახევრად უდაბურ მთის კალთებზე გადაჭიმულ ***დავით გარეჯის არქიტექტურულ ანსამბლს***, რომელიც თავისი რელიგიური, კულტურული მნიშვნელობითა და გამორჩეული ფერწერის წყალობით განცვიფრებულს ტოვებს ადგილზე ჩასულ ვიზიტორებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კახეთის რეგიონის კარიბჭეა. ბოლო წლების მანძილზე, მუნიციპალიტეტს არაერთი შატო, მარანი და უფრო დიდი მასშტაბის სასტუმრო შეემატა.

საგარეჯოში აქტიურია შიდა ტურიზმი, რაც გულისხობს დედაქალაქთან გეოგრაფიულად ხელმისწავდომ, ახლო მდებარე მუნიციპალიტეტში შაბათი - კვირის გასვლით ტურებს და სასიამოვნო გარემოში დასვენებას.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ფეხბურთი

„გარეჯი-1960“-ის პირველი მატჩები პირველ ლიგაში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „გარეჯი-1960“-მა გასულ წელს მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში თამაშის უფლება, რაც უდიდესი სენსაცია და ამავე დროს დიდი სტიმულია ჩვენი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მართლაც ბევრი არიან ჩვენთან არსებულ საფეხბურთო წრეებში. ეს კი თავის მხრივ მომავალი წარმატებების საწინდარია.

„გარეჯის“ გულშემატკივრები მოუთმენლად და ერთგვარი შიშითაც ელოდნენ ახალი სეზონის დაწყებას, რათა ეხილათ, თუ როგორ იასპარეზებდა მათი გუნდი ქვეყნის მთავარ ჩემპიონატში. და აი, ეს დროც დადგა. **პირველ მეტოჟედ** გარეკახელებს ქვეყნის 2023 წლის ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ არგუნა. ჯერჯერობით საგარეჯოს სტადიონი არ შეესაბამება პირველი ლიგის სტანდარტებს – პირველი ლიგის გუნდებს ეკრძალებათ ხელოვნურსაფარიან მინდორზე მატჩების გამართვა, ამიტომ საგარეჯოელებმა აჭარელებს თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლეს. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა 0:0.

მეორე მატჩი გარეჯელებს წყალტუბოში ჰქონდათ ადგილობრივ „სამგურალთან“. მატჩი სტუმრებისათვის კარგად დაიწყო. გარეჯელთა ლეგიონერმა ფრანსუა უკონგოლომ მეორე წუთზე გახსნა ანგარიში. ***ეს გოლი ამავე დროს იყო გარეჯელთა მიერ პირველ ლიგაში გატანილი პირველი გოლი.*** სამწუხაროდ, პირველივე ტაიმში გარეჯელებმა სამი გოლი გაუშვეს და დამარცხდნენ 1:3.

16 მარტს კი გარეჯელები კვლავ სტუმრად დაუპირისპირდნენ ***„კოლხეთი-1913“-ს*** და პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. გამარჯვების გოლი 68-ე წუთზე **ლევან პაპავამ** გაიტანა. ასისტი ***ნიკოლოზ გალახვარიძემ*** მიითვალა.

ეს იყო პირველი ლიგის გათამაშების მეოთხე ტური და „გარეჯი“ ამჟამად 4 ქულით მეშვიდე ადგილზეა, თუმცა „გარეჯს“ პირველი ტურის შეხვედრა გამოტოვებული აქვს – მატჩი უამინდობის გამო გადაიდო და შესაძლებლობა აქვს სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესოს.

გაზეთის რედაქციას დაგეგმილი გვაქვს ინტერვიუ კლუბის დირექტორ **ლაზარე დათუნაშვილთან**, რომელსაც უახლოეს ხანებში შემოგთავაზებთ, სადაც „გარეჯი-1960“-ის გეგმებსა და დღევანდელ მდგომარეობაზე სრულყოფილ ინფორმაციას მივაწვდით ფეხბურთის გულშემატკივრებს.

ზურაბ აბულაშვილი

სურათი, რომელმაც ჩვენი ფეხბურთის წარსული გაგვახსენა

ფოტოსურათი 1967 წელსაა გადაღებული და მასზე იმ წლის საქართველოს ფეხბურთის I ლიგის გამარჯვები – საგარეჯოს „გარეჯის“ ფეხბურთელები არიან აღბეჭდილი. ფოტოსურათი რედაქციას ამ გამარჯვების მონაწილემ, ვეტერანმა ფეხბურთელმა ნუგზარ იმედაშვილმა მოგვაწოდა, რომელიც წლების მანძილზე გარეჯელთა ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა. გარეჯიდან წასვლის შემდეგაც ბ-ნ ნუგზარს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ფეხბურთთან – სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მუხროვანის ბაზაზე თუ ბაქოში პარტიული სწავლებისა და შემდეგ მანავის მეკვნახეობის საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობის წლებში ჩამოყალიბებული ჰქონდა ფეხბურთის გუნდები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში. ბ-ნ ნუგზარს ვთხოვეთ გაეხსენებინა 60-იანი წლების საგარეჯოელ ფეხბურთელების მოღვაწეობა.

– საგარეჯოში ფეხბურთის არსებობას საკმაო ხნის ისტორია აქვს. მისი, როგორც სპორტის პოპულარული სახეობის აღმავლობა კი, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების დროიდან დაიწყო. ყველაზე ისტორიული და დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ამ ისტორიაში გახლდათ 1964 წელს საგარეჯოში საკუთარი სტადიონის გახსნა, რომელიც მაშინდელი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის ბიჭვინთაში საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ალექსი ინაურის მიერ დაპატიმრების წელს დაემთხვა.

სტადიონი ხატიკაკლების ტერიტორიაზე დამრეც ნიადაგზე მოეწყო, სადაც მიწა „სკრეპერებით“ აიჭრა და მოსწორდა. მწვანე საფარის მოსაწყობად კი ბელტი ხაშმის ბოლოზე იჭრებოდა და აწყობდნენ მოსწორებულ მიწაზე. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმული რაიონის მაშინდელი საშუალო სკოლების უფროსკლასელი ბიჭები. ამ საქმიანობაში მეც ვიღებდი მონაწილეობას, – გვიამბობს ბ-ნი ნუგზარი.

ამ სტადიონის მოწყობა-მშენებლობაში აქტიურად იყო ჩართული მაშინდელი პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ოთარ საბაშვილი. საერთოდ იგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო და თითქმის ყოველდღიურ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი სტადიონის მშენებლობის საქმე. სტადიონის პარალელურად აშენდა შესაბამისი, დღესაც არსებული მაყურებელთა ტრიბუნა – 5000 მაყურებელზე. აშენდა და მოეწყო სადიქტორო ოთახი, საიდანაც სტადიონზე ჩატარებული მატჩების დროს რეპორტაჟებს გადასცემდა საგარეჯოში ყველასათვის ცნობილი პიროვნება, მსახიობი და ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქტორი ჯორჯი მამისაშვილი. მატჩების ტრანსლიაცია ასევე ხდებოდა რაიონის სოფლებში ადგილობრივი რადიოგადაცემების მეშვეობიაც.

გარდა ამისა, მატჩებზე დასასწრებად იყიდებოდა ბილეთები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ვრცელდებოდა სხვადასხვა ვადიანი აბონემენტები. საერთოდ იმ წლებში საგარეჯოში გამართულ მატჩებს არასდროს მოჰკლებია მაყურებელი და გულშემატკივარი.

– თვითონ ფეხბურთელთა გუნდი „გარეჯი“ როდის ჩამოყალიბდა?

– „გარეჯი“ სტადიონის მშენებლობამდე იყო ჩამოყალიბებული. სამწუხაროდ, წელი ზუსტად არ მახსოვს. ვიცი ის, რომ გუნდის პირველი მწვრთნელი იყო თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ბაჩი ჯორბენაძე, რომელიც იმ წლებში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე მუშაობდა. როცა ეს მშენებლობა დასრულდა, ჯორბენაძე სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მის მაგივრად „გარეჯის“ მწვრთნელად დაინიშნა ისევ თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ჟორა ჭუმბურიძე. 1967 წელს „გარეჯმა“ გაიმარჯვა აღმოსავლეთ საქართველოს I ლიგის გუნდებში და უნდა შეხვედროდა დასავლეთ საქართველოს ზონაში გამარჯვებულ გუნდს. ეს გუნდი აღმოჩნდა სამტრედიის „მერცხალი“. ამ დროისათვის „გარეჯს“ უკვე სხვა მწვრთნელი ალიოშა კირვალიძე ედგა სათავეში. ეს ისტორიული შეხვედრა გაიმართა 1967 წელს, სადაც „გარეჯმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „მერცხალი“ და გავხდით საქართველოს ჩემპიონები. ამ წარმატებისათვის „გარეჯის“ ყველა ფეხბურთელს მოგვენიჭა I თანრიგები და გუნდს „ბ“ კლასში გადასვლის პერსპექტივა გაუჩნდა, სადაც უკვე თამაშობდნენ თელავის „ნადიკვარი“, და გურჯაანის „ალაზანი“. თუმცა, ამ შანსის გამოყენება სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით „გარეჯმა“ ვერ შეძლო.

– კერძოდ, რა იყო ამის მიზეზი?

– ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ფინანსური პრობლემა გახლდათ. „გარეჯი“ რომ „ბ“ კლასში გადასულიყო, მას უნდა ჰქონოდა თანამედროვე საკლუბო გუნდებისნაირი პირობები – საკუთარი ბიუჯეტი, ფეხბურთელთა ხელფასები, გასვლითი თამაშების, სამივლინებო და „ზბორების“ თანხები და ა.შ. რაც მაშინ გუნდს არ გააჩნდა. მაშინდელი გუნდი ე.წ. ნებაყოფლობით საწყისებზე იყო დაფუძნებული, ფეხბურთელები სხვადასხვა ორგანიზაციებში იყვნენ „გაფორმებული“ და იქიდან იღებდნენ მიზერულ ხელფასებს. ერთი სიტყვით, რაიონს გუნდის „ბ“ კლასში შენახვა მაშინ არ შეეძლო და ეს საქმე ჩაიშალა. სამაგიეროდ, იმავე წელს ჩვენ გავხდით საქართველოს თასის მფლობელები, ხოლო 1969 წელს ნსს „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საზოგადოების „ოქროს თავთავის“ თასის მფლობელები.

– „გარეჯის“ იმჟამინდელი შემადგენლობა თუ გახსოვთ?

– როგორ არა. ნომერი 1 – მეკარე როლანდ ბერიძე; №2 – ზაურ შარტავა; №3 – რეზო გოცირიძე; №4 – ნუგზარ იმედაშვილი; №5 – ანზორ დავითაშვილი; №6 – გიზო ჩანტლაძე; №7 – ნიკო ბუზარიაშვილი; №8 – ვოვა ხარებოვი; №9 – თამაზ გოშაძე; №10 – მიშა გულისაშვილი; №11 – ოთარ (ტიღა) ჭიაბერაშვილი. სათადარიგო მოთამაშეები იყვნენ: რომან (პელე) ილაური, ედვარდ ალექსაშვილი, ვახტანგ დევდარიანი, სულიკო სტეფანიშვილი, მეკარე გივი მათიაშვილი. გუნდის კაპიტნები იყვნენ რეზო გოცირიძე და გიზო ჩანტლაძე. სხვათა შორის „გარეჯის“ მეკარე როლანდ ბერიძე ჩვენი გუნდიდან თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს, სადაც თამაშობდა, როგორც „დუბლებში“, ისე ძირითად შემადგენლობაში.

გივი
დაბახიშვილი

დასასრული შემდეგ ნომერში

განათლების კერა

ასწლოვანი სკოლის კედლებში

მეორე საჯარო სკოლის წარსული და დღევანდელობა

საგარეჯოში სასკოლო განათლება 1874 წლიდან იღებს სათავეს, როცა მეფის მთავრობის მიერ დაწყებითი სახალხო განათლების შესახებ გამოცემული დებულების მიხედვით „ბაზრის უბნის“ ზემოთ ბუზარიაშვილების კუთვნილ მიწის ნაკვეთში საგარეჯოელების მიერ შეგროვილი თანხით დაიწყო დაწყებითი ტიპის ორკლასიანი სკოლის მშენებლობა. იმავე წელს ამ სკოლის გამგე მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე ცხვედაძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა სკოლის მშენებლობას. ეს მშენებლობა დასრულდა 1875 წლის აგვისტოში და იმავე წლის 21 ოქტომბერს გაიხსნა. ეს პირველი სკოლა ორწლიანი იყო და მასში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ.

1888 წელს „შუა ბაზარში“ დაიწყო ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა, იმ ადგილას, სადაც ამჟამად მეორე საჯარო სკოლის შენობაა. მშენებლობის დასრულების შემდეგ ოთხკლასიანი დაწყებითი განათლების სკოლად გადაკეთდა და პირველი ნაკადი 1919 წელს გამოუშვა. სწორედ აქედან იღებს დასაბამს საგარეჯოს II საჯარო სკოლის არსებობა, რომლის დროსაც მან არაერთი სახელოვანი მამულიშვილი აღუზარდა და ამჟამადაც უზრდის საგარეჯოსა და მთლიანად ჩვენს ერს: მხვნელ-მთესველები და მექანიზატორები, მევენახეები და მეცხოველეები, ექიმები და მასწავლებლები, მწერლები და პოეტები, მასწავლებლები და მეცნიერები, მშენებლები და ბუნების დამცველები, მსახიობები და სპორტსმენები. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნად თითქმის არ არსებობს ისეთი დარგი თუ პროფესია, ამ სკოლის აღზრდილებსაც რომ არ მიეღოთ მათში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

1964 წლიდან სკოლის არსებობაში ახალი ეტაპი დაიწყო. დაიწყო ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და 1964-65 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტატუსი მიენიჭა. 2018 წელს „ათასწლეულის გამოწვევების ფონდი – საქართველოს“ ფარგლებში სკოლას ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და მინიჭებული აქვს *ნუგზარ ჭანტურიას* სახელი.

დღიდან დაარსებისა, ამ საუკუნოვანი სკოლის კედლებში პედაგოგთა მთელი რიგი ღირსეული კადრები და სკოლის ხელმძღვანელები მოღვაწეობდნენ და ზრუნავდნენ ჩვენი ქვეყნისათვის მომავალი ღირსეული თაობების აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის. სადღეისოდ სკოლას სათავეში უდგას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 2005 წლიდან დღემდე ამ სკოლის ფიზიკის მასწავლებელი **ეკა (ეთერი) ქვრივიშვილი.**

ცნობისათვის: *ეთერი ქვრივიშვილმა 1986 წელს დაამთავრა საგარეჯოს №1 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1993 წელს ფიზიკოსის სპეციალობით. 2005 წლიდან დღემდე არის ფიზიკის მასწავლებელი. 2014 წლის ნოემბერში დაინიშნა სსიპ ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2024 წლის 18 ივნისს არჩეული იქნა დირექტორად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

და აი, დღეს იგი ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სტუმარია. ჩვენი საუბრის თემა კი, რა თქმა უნდა, მეორე საჯარო სკოლა და მისი დღევანდელობაა.

– 2024-2025 სასწავლო წლისათვის, – ***გვითხრა მან საუბრის დასაწყებისას,*** – სსიპ ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქ. საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლაში 392 მოსწავლე გვყავს. აქედან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეა – 216, საბაზო საფეხურზე სწავლობს 98 და საშუალოზე –78 მოსწავლე. აქედან ამ სასწავლო წელს სკოლის კარები პირველად შემოაღო და სწავლა-განათლებას შეუდგა 45 პირველკლასელი, რომლებიც ორ პარალელურ კლასში გადანაწილდნენ.

– და რამდენი პედაგოგი უძღვება თქვენს სკოლაში მოსწავლეთა ამ კონტიგენტის სწავლა-აღზრდის საქმეს?

– სულ სკოლაში ვირიცხებით 31 პედაგოგი, საიდანაც ერთი არის მენტორი და 10 წამყვანის სტატუსის მასწავლებელი. გვყავს აგრეთვე პედაგოგები, რომლებიც მრავალწლიანი და საუკეთესო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულნი არიან მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენი სკოლის ქიმიის ყოფილი მასწავლებელი **ნინელი ქვლივიძე,** რომელიც 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით, იმავე წელს – იაკობ გოგებაშვილის სახელობის საპატიო მედლით. ღირსების ორდენითაა დაჯილდოვებული ისტორიის მასწავლებელი **ლალი კოხტაშვილი** (2007 წელი).

– როგორც ცნობილია, თქვენი სკოლის შენობას ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დროსაც თქვენ უკვე დანიშნული იყავით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. რა მდგომარეობაა სადღეისოდ აქ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის კუთხით?

– უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ სკოლა კეთილმოწყობილია ყველა მხრივ. აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკით, სასწავლო რესურსით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სამედიცინო კაბინეტით, დაცულია უსაფრთხოების ზომები და ყველა პირობაა შექმნილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის.

– ალბათ ამის გამოცაა, რომ სკოლას ჰყავს ბევრი მედალოსანი კურსდამთავრებული, რომლებმაც სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებულად გააგრძელეს სწავლა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და როგორც დიპლომირებული სპეციალისტები ახლა, ასევე, წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას სხვადასხვა დარგებში. თქვენ თუ გახსოვთ, ვინ იყვნენ სკოლის პირველი მედალოსანი კურსდამთავრებულნი?

– პირველი ადამიანი, ვინც ჩვენი სკოლა მედალზე დაამთავრა, გახლდათ ქ-ნი **ცისმარ ტოკეშაშვილი,** რომელმაც ვერცხლის მედალზე დაამთავრა ჩვენი სკოლა (ქ-ნი ცისმარი ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგი იყო ათეული წლების განმავლობაში) მომდევნო წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა მისმა დამ **ციური ტოკეშაშვილმა.** ორივე მათგანმა (ქ-ნი ციური საგარეჯოს I საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია) ცხოვრების საგზურად პედაგოგობა აირჩია და არა ერთი თაობა აღუზარდეს ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ჩვენს ქვეყანას. რაც შეეხება მედალოსნების რაოდენობას, 1966 წლიდან დღემდე სკოლას გამოშვებული ჰყავს 127 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებული. აქედან, 2023-2024 სასწავლო წელს ჩვენმა ექვსმა კურსდამთავრებულმა მიიღო ოქროს, ორმა მოსწავლემ კი ვერცხლის მედალი.

– 2024-2025 სასწავლო წელს მედალოსნობის რამდენი კანდიდატი გყავთ?

– ამ სასწავლო წლისთვის სულ 7 კანდიდატია.

– გასაგებია, რომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსან აბიტურიენტებს არ გაუჭირდებათ უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წარმატებით ჩაბარება და სასწავლებლებში მოხვედრა. როგორ ართმევენ თავს ამ საქმეს სხვა დანარჩენი სკოლის კურსდამთავრებულები „არამედალოსანი“ აბიტურიენტები?

– შესანიშნავად. სკოლას ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს, რომლებიც წარმატებით აბარებენ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში ხდებიან სწავლაში გამორჩეული სტუდენტები. მარტო ბოლო 2023-2024 სასწავლო წელს სკოლის 19 კურსდამთავრებულიდან 17 ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში. იმედია, რომ ისინი ასევე წარმატებით დაასრულებენ იქ სწავლას და როგორც დიპლომირებული სპეციალისტები მომავალში წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დარგებში.

– როგორია სადღეისოდ სხვადასხვა აქტივობებში სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა?

– სკოლაში ადრეც და ახლაც ხორციელდება ბევრი სასკოლო, რაიონული, განათლების სამინისტროს და საერთაშორისო პროექტები, რაშიც აქტიურად არიან ჩართული როგორც მოსწავლეები, ასევე, მათი პედაგოგები და ამ მხრივ მათი მიღწევები არაერთხელ აღნიშნულა შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

– მეორე საჯარო სკოლას არასოდეს ჰკლებია სახელოვანი სპორტსმენი-მოსწავლეები, რომლებსაც არაერთხელ უსახელებიათ საგარეჯო და ჩვენი ქვეყანა, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ მხრივ მათი ნაკლებობა ალბათ არც ამ სასწავლო წელსაა, არა?

– ნამდვილად უნდა ითქვას, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი, როგორც ვაჟები, ასევე გოგონები, ჩართულია სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ჭიდაობა, ჭადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში, კრივი, ფეხბურთი, კალათბურთი) და აქვთ წარმატებები ქვეყნის მასშტაბით. ასევე, ეუფლებიან სიმღერის, ცეკვის, ხატვის ხელოვნებას და ა.შ. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და დიდი მადლობა გადავუხადო თქვენი გაზეთის რედაქციას, რომელიც სისტემატურად აშუქებს მათ ამ წარმატებებს. ჩვენის მხრით კი, ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჩვენი სასწავლო დაწესებულება, როგორც გასულ წლებსა და დღესაცაა, მომავალშიც იდგეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოწინავე სასკოლო დაწესებულებათა რიგებში, ქვეყნის საიმედო და საამაყო მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.

– წარმატებები!

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

ყურადღება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია „დედა ენის“ დღესთან დაკავშირებით კონკურსს აცხადებს „ქართული კალიგრაფია“

კონკურსის მიზანი: ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია,

ხელით წერის კულტურისა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარების განვითარება.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

1. VII - IX კლასი
2. X-XII კლასი

კალიგრაფიული ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები:

კომპოზიციის სრულყოფილად აგება (ფურცლის ერთიანობაში აღქმა, მინდვრები, აბზაცები; წერის სტილისა და საწერი არეების ერთნაირად დაცვა დასაწყისიდან დასასრულამდე);

ტექსტის ლამაზად და გარკვევით შესრულება, იმისათვის რომ კარგად იკითხებოდეს. კალიგრაფიული ტექსტის წერისას სასურველი არ არის ასო-ნიშნების ზედმეტი სტილიზაცია, დახრილობა;

ასო-ნიშნების ზომისა და ფორმის ერთიანი სტილის დაცვა;

ნაწერში ასო-ნიშნებისა და გადაბმების ხაზების სისწორე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დედნიდან მაქსიმალური სიზუსტით, შეცდომის გარეშე გადმოწერა;

ტექსტისთვის კალმის ფერი უნდა იყოს შავი ან ლურჯი,

საწერ საშუალებებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი;

კონკურსანტმა შესაძლებელია ისარგებლოს საკუთარი საწერი საშუალებებით ორნამენტების, განსხვავებული ადგილებისა და საზედაო ადგილების გასაფორმებლად, სახაზავით, საშლელით.

კონკურსში გამოვლინდება 3-3 გამარჯვებული ორივე ასაკობრივი ჯგუფიდან; გაიცემა

შესაბამისი ფულადი საჩუქრები:

I ადგილი - 800 (რვაასი) ლარი

II ადგილი - 600 (ექვსასი) ლარი

III ადგილი - 400 (ოთხასი) ლარი

ნამუშევრებს განიხილავს და შეაფასებს მერის ბრძანებით დამტკიცებული ჟიური.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, საკონტაქტო ნომერი, 2025 წლის 5 აპრილამდე,

ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე: ახალგაზრდული.სამსახური@gmail.com

კონკურსი ჩატარდება 2025 წლის 14 აპრილს, ქ. საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლაში, 15:00 სთ.

საკონტაქტო პირები:

ანი ანუაშვილი - 591 70 12 70

ქეთევან ხაბაზიშვილი - 510 00 17 11

ლეილა კვირიაშვილი - 595 95 10 10

ნინო მეზვრიშვილი - 595 09 32 25

ამაგდართა ნაკვალევზე

ლეგენდარული საგარეჯოელი მეტყევე

(ნარკვევი)

სოლომონ ქურდიანი - მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება იყოს ადამიანი სასარგებლო თავისი სამშობლოსა და სხვა ქვეყნებისთვისაც



ქვეყნის მომავალს ქმნიან თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, თავისი ეროვნული ინტერესების ერთგული და ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები.

ამ რამდენიმე დღის წინ, ერთი ნაცნობი, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცი შემხვდა. ძალიან აღელვებული იყო. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, ემოციურად მკითხა:

- სანდრო, მითხარი, რა ეშველება ჩვენს ქვეყანას? როგორ მოვიქცეთ, როდესაც რუსეთისკენ მიგვაქანებენ, ჩვენს ეროვნებას და მომავალს გვართმევენ?

მყისიერად მივხვდი, წინა დღეს რომელიღაც ოპოზიციური ტელეარხისთვის ეყურებინა და აშკარა იყო, რომ ეს წესიერი, აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს...

შევეცადე, დამემშვიდებინა. ემოციურმა ტალღამ რომ გადაუარა, ვუთხარი:

- ჩვენ უფალმა მოგვანიჭა ეროვნება და უფლის მონიჭებულს ვერავინ წაგვართმევს. ნუ ღელავ, რუსეთისკენ არავინ მიგვაქანებს და ვერც ვერავინ წაგვართმევს მომავალს, რადგან იგი ჯერ არ დამდგარა. ზედმეტი ემოციები და რომელიმე ერის ხელაღებით ლანძღვა არასდროს ყოფილა ქართველი კაცის თვისება. ჩვენი ამოცანაა, ცივი გონებით შევხედოთ მოვლენებს და ვიფიქროთ იმაზე, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის. ვიცი, რომ გყავს კარგი ოჯახი - მეუღლე და ქალიშვილი. ვიცი, რომ ყველაფერს აკეთებ შენი ოჯახისთვის. რადგან ასე შეგტკივა გული შენი ქვეყნისთვის, გაიხსენე თუნდაც ერთი ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ გადაგიდგამს....

ღრმად დაფიქრდა, თუმცა ვერაფერი გაიხსენა....

- აი, ჩემო მეგობარო, სწორედ აქედან იწყება ნამდვილი ქართველობა: წუწუნისა და ვაი-ვაიშის ნაცვლად, ადამიანმა თავის თავს ჰკითხოს: რა შემიძლია გავაკეთო ჩემი ქვეყნისთვის.

ამის შემდეგ, მას მოვუყევი ძალიან მაგარი საგარეჯოელი კაცის, **სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანის** ისტორია.

მას შეეძლო, უზრუნველად ეცხოვრა პოლონეთში, მაგრამ ურთულეს ეპოქაში დაბრუნდა სამშობლოში და მისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

სანამ მის ისტორიას მოგითხრობთ, აღვნიშნავ, რომ ეს ფოტო გადაღებულია ქალაქ საგარეჯოს ცენტრში, რომელსაც სოლომონ ქურდიანის ძეგლი ამშვენებს.

მაშ ასე, დავიწყოთ...

გამოჩენილი ქართველი მეტყევე, სოლომონ ქურდიანი დაიბადა საგარეჯოში, მღვდლის ოჯახში, 1867 წლის 6 მარტს.

სწავლობდა ნოვოალექსანდრიის (პოლონეთი) სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტში. 1900 წელს ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იქვე ტოვებენ მეტყევეობის კათედრაზე ასისტენტად. ჯერ პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს დენდროლოგიაში. 1903-1904 სასწავლო წლებიდან კითხულობს დენდროლოგიის კურსს თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. დენდროლოგიის სახელმძღვანელოს აქვეყნებს 1912 წელს ქ. პეტერბურგში. ს. ქურდიანი აყენებს საკითხს სასელექციო სატყეო სადგურების რუსეთში დაარსების შესახებ და ამ მოხსენებით გამოდის 1912 წელს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სელექციონერთა ყრილობაზე. ს. ქურდიანი რუსეთში, მიუხედავად ინტენსიური პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა, მჭიდრო კავშირშია საქართველოსთან, ჩამოყავს სტუდენტები და სასწავლო პრაქტიკას უტარებს ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში. ს. ქურდიანის საკმაოდ სქელტანიანი მონოგრაფია — „ცივგომბორის ქედის და იორ-ალაზნის მდინარეთა ჭალის ტყეები“, ავტორისეული ფოტოსურათებითაა ილუსტრირებული, სადაც მშვენივრად არის აღბეჭდილი საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება.

1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით ს. ქურდიანი ბრუნდება საქართველოში და ახლადგანხსნილ უნივერსიტეტში ბოტანიკის კათედრაზე პროფესორის თანამდებობას იკავებს.

1920 წელს ს. ქურდიანი „ტყის დღის“ თაოსანიც გახდა. ეს მოვლენა სპეციალური სამეცნიერო-პოპულარული კრებულების გამოცემითაც აღინიშნა. 1926 წლის კრებულში მოთავსებულია მეტად საინტერესო, შინაარსიანი წერილი — „ტყე და ბუნება“, სადაც იგი ვრცლად ჩერდება ბუნების ძეგლების დაცვის საკითხზე; მიმოიხილავს საქმის ვითარებას საზღვარგარეთ, ადარებს მას ჩვენში არსებულ მდგომარეობას და სინანულს გამოთქვამს, რომ ბუნების იშვიათ და ძვირფას ძეგლებს ჩვენში საჭირო ყურადღება არ ექცეოდა. ს. ქურდიანი ფართო მუშაობას აჩაღებს საქართველოს ტყეების მოწყობა-გაუმჯობესებისათვის. 1923 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა სატყეო საკურორტო სამმართველო, რომლის განკარგულებაში არსებული ტყეების აგეგმვა-მოწყობა მიენდო ს. ქურდიანს. საქართველოში პირველად ელდარის ფიჭვის 25 ჰექტარი და ბიჭვინთის ფიჭვის უნიკალური ტევრის 340 ჰა გამოცხადდა ბუნების ძეგლებად. ს. ქურდიანი საჭიროდ თვლიდა, რომ სახელმწიფოს უფრო მეტი ღონე ეხმარა და სხვა უნიკალური ჯიშებიც შეეყვანა მისი დაცვის ქვეშ. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ის იყო, რომ განათლების კომისარიატთან არსებული, სიძველეთა, ხელოვნებათა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებას, იმავე წელს გამოეყო ბუნების ძეგლთა სექცია.

1929 წელს საქართველოში პირველად შეიქმნა ცენტრალური სატყეო საცდელი სადგური და დირექტორად სოლომონ ქურდიანი დაინიშნა. ქურდიანი მონაწილე იყო 1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის შექმნისა და ამ ფაკულტეტის ბაზაზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებისა, სადაც იგი დენდროლოგიის, სატყეო ტაქსაციისა და სატყეო მეურნეობის კათედრის გამგე, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანია. ამ ფაკულტეტის ბაზაზე 1931 წელს შექმნა ამიერკავკასიის, ხოლო 1933 წელს თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.

სოლომონ ქურდიანი ქართულ ენაზე სატყეო ლიტერატურის პირველი შემქმნელია, მის კალამს ეკუთვნის 1922 წელს გამოცემული „მეტყევეობის ენციკლოპედიური კურსი“ და 1931 წელს გამოქვეყნებული „დენდროლოგიის სახელმძღვანელო“. ს. ქურდიანის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი ნაშრომები ეხება ტყის მერქნიანი ჯიშების ბიოლოგიას, ეკოლოგიას, სახეობათშორის ჰიბრიდიზაციას, სელექციას.

პროფესორმა ს. ქურდიანმა თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე რუსეთსა და საქართველოში გამოზარდა მეტყევე-სპეციალისტთა მრავალი კადრი.

მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ტყეების სრულფასოვანი აღწერა, მისი თაოსნობით ბიჭვინთის, ტევრის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ყორუღის, ნაღვარევის, ელდარის, ბაწარას და მარიამჯვრის ნაკრძალს ქურდიანის სახელი ეწოდა. სოლომონ ქურდიანი ებრძოდა ტყის უგეგმოდ ჩეხვას. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა, როდესაც 1931 წელს საკავშირო დადგენილებით საქართველოსა და რუსეთის ტყეები ერთ საექსპლოატაციო ზონად გამოცხადდა. ტაიგის მსგავსად მთიანი რაიონების ტყეების ჭრა, მეცნიერების აზრით, გამოიწვევდა მეწყერებს, ღვარცოფებსა და ეროზიას. ტყეების გადარჩენისათვის საჯარო კრიტიკული გამოსვლები მეცნიერს სიცოცხლის ფასადა დაუჯდა. 1937 წელს იგი „ხალხის მტრად“ გამოცხადდა, დააპატიმრეს, სასტიკად აწამეს, მისი შრომები გაანადგურეს და დახვრიტეს. დღესაც უცნობია მისი საფლავი.

სანდრო უსტიაშვილი

გარეჯული ფლორისა და ფაუნის დაცვის სამსახურში

მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი ზვიად ტიგინაშვილი:

„მუშავდება ბევრი ახალი გეგმა მოეწყობა ხუთი ახალი საპიკნიკე სივრცე“

ჩვენი მუნიციპალიტეტის „ადგილ-მამულები“ სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, მდიდარია თავისი უნიკალური ბუნებრივი საგანძურით – დაცული ტერიტორიებით, სადაც თავმოყრილია ფლორისა და ფაუნის მსოფლიოში უიშვიათესი, უნიკალური ეგზემპლარები. საერთო ჯამში, ამ ტერიტორიებს, ჩვენი და კახეთის მეზობელი მუნიციპალიტეტების საკარგულებში 10 ათას ჰექტრამდე ფართობი უკავიათ და მდინარე ივრის ხეობასა და ცივგომბორის სამხრეთ კალთებზე არიან განლაგებული. მათ მართვას, მოვლა-პატრონობას, დაცვასა და ზედამხედველობას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებული მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია ახორციელებს.

ჩვენი ამ დიდი ეროვნული საგანძურის სასიკეთოდ და ბუნების საგარეჯოელ ქომაგთა სასიხარულოდ, ეს რამდენიმე წელია ამ ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგა ***ჩვენი თანამემამულე, ახალგაზრდა მეტყევე-მეცნიერი, საქართველოს სხვადასხვა აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების სწავლული მდივანი, საქართველოს განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი, ქართულ და უცხოურ ენებზე 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი*** **ზვიად ტიგინაშვილი,** ჭეშმარიტი მამულიშვილი, ვისაც უზომოდ უყვარს თავისი პროფესია და ბოლომდე იხარჯება ჩვენი ამ ეროვნული ფასეულობების დაცვისა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების საშვილიშვილო საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია იმ დიდი საქმისა, რასაც საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიოში სახელგანთქმულმა საგარეჯოელმა და გიორგიწმინდელმა დიდმა მეტყევე-მეცნიერებმა **სოლომონ ქურდიანმა და ვასილ გულისაშვილმა.** მე ადრეც აღმინიშნავს და ახლაც გავიმეორებ, რომ გარეკახეთის ფლორისა და ფაუნისათვის ათწილად მომგებიანია ასეთი ცოდნა – განათლებისა და გამოცდილების სპეციალისტის ამ პოსტზე მოსვლა და ასეთი ხელმძღვანელის ყოლაზე საქართველოს არც ერთი დაცული ტერიტორია არ იტყოდა უარს.

და აი, 6 მარტის, გაზაფხულის დამახასიათებელ მზიან დღეს, საგარეჯოს სათავეში აშენებულ „რეინჯერთა სახლში“ ბატონი ზვიადის სტუმარი ვარ. ტყის მასივში ჩადგმული თანამედროვე სტანდარტების ღონეზე მოწყობილი შენობა რეინჯერებს აუვსიათ. დღეს მათი თაობირის დღეა, მანამდე კი ჩვენი გაზეთის და ყველაფერი გარეჯულის გულშემატკივარმა ადმინისტრაციის დირექტორმა მაინც გამონახა დრო ჩვენთან სასაუბროდ.

– როგორც თქვენ მოგეხსენებათ, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია, – ***გვითხრა მან საუბრის დასაწყისში,*** – აერთიანებს ოთხ დაცულ ტერიტორიას. ესენია მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი, ყორუღის აღკვეთილი, იორის აღკვეთილი და ახლახანს შექმნილი ცივ-გომბორის აღკვეთილი, სადაც თავმოყრილია საქართველოში და მსოფლიოში ფლორისა და ფაუნის უნიკალური ეგზემპლარები, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილი სახეობები.

– ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით, რა ფართობი უკავიათ ამ დაცულ ტერიტორიებს? ზოგიერთი ცნობით ათი ათასი ჰექტარია, ზოგით მეტ-ნაკლები...

– ცივ-გომბორის აღკვეთილის შექმნამდე, ჩვენს დაცულ ტერიტორიებს 5 ათას ჰექტრამდე ფართობი ეკავა, მისი შექმნის შემდეგ მათ თითქმის ამდენივე ფართობი შეემატა; დაზუსტებული მონაცემებით კი ეს ფართობი 9874 ჰექტარს შეადგენს. აქედან მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალს უკავია 1022 ჰა, ყორუღის აღკვეთილი – 1763 ჰა, იორისას – 2126 ჰა, ცივ-გომბორის აღკვეთილს 5009 ჰექტარი.

– გასულ წელს მოწყობილ, „რეინჯერის დღის“ ზეიმზე აღინიშნა, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ფართობის (13,9%, 927 748ჰა) უკავიათ, 400 რეინჯერი იცავს. ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენი რეინჯერი ემსახურება ამ საქმეს?

– ოფიციალურად დადგენილი შტატებით ადმინისტრაციაში სულ 17 თანამშრომელი ვართ. დირექტორი: ზვიად ტიგინაშვილი, დაცვის განყოფილების უფროსი, დირექტორის მოადგილე, მურმან ებრალიძე, ბუნებრივი რესურსების დაცვის უფროსი სპეციალისტი – ნინო გაბროშვილი, ცივ-გომბორის აღკვეთილის უფროსი რეინჯერი – გელა ღრეული და მისი ჩათვლით 14 რეინჯერი. აქედან, თუ გაინტერესებთ, როგორც ფართობით ყველა აღკვეთილზე დიდს – ცივ-გომბორის აღკვეთილს ემსახურება 7 რეინჯერი, სამი რეინჯერი გვყავს ყორუღში, ორ-ორი ივრის აღკვეთილსა და მარიამჯვარის ნაკრძალში.

– მოდით, ისტორიას შემოვუნახოთ ამ რეინჯერების ვინაობაც...

– კი ბატონო. ესენი არიან მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალში: ბესიკ დიღმელაშვილი და მამუკა ნაცვლიშვილი იორის აღკვეთილში ბოდბელები: ავთო ჯანიაშვილი და ტარიელ ბარნაბიშვილი;

ყორუღში: მუბარაზ პირიევი, ზურა ქართლელიშვილი და ეითიბარ ალიევი.

ცივ-გომბორის აღკვეთილში: გელა ღრეული (უბნის უფროსი რეინჯერი), თემურ მესროფოვი, გიორგი ქოქიაური, ბექა ხატიაშვილი, გოგი საგინაშვილი, გიორგი ბუზარიაშვილი, ალექსი მღვდელაძე.

მათგან ჩემი დირექტორობის დროს სხვადასხვა წლებში 6 რეინჯერს მინიჭებული აქვს წლის რეინჯერის წოდება. ესენი არიან: ბესო დიღმელაშვილი, მამუკა ნაცვლიშვილი, ეითიბარ ალიევი, გელა ღრეული, მუბარიზ პირიევი, ეს წოდება ასევე მინიჭებული აქვს დაცვის განყოფილების უფროსს მურმან ებრალიძეს.

– ამ აღკვეთილებიდან ყველაზე პრობლემური ალბათ იორის აღკვეთილია, რომელიც რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება, არა?

– – დიახ. როგორც მოგეხსენებათ, ყორუღის და ივრის აღკვეთილები ვრცელდება 4 მუნიციპალიტეტის: საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს ტერიტორიებზე, დაახლოებით 60 კმ მანძილზე – საგარეჯოს „ნაიორალიდან“ დაწყებულ დედოფლისწყაროს „დალის მთის“ წყალსაცავამდე არსებულ მდინარე ივრის ხეობაში. ამ 60 კმ-ის მანძილზე საკმაოდ მრავლადაა საქონლის ზამთრის საძოვრები და ბინები, საიდანაც ხშირია ჭალის ტყეებში პირუტყვის ძოვების ფაქტები, რაც ყველაზე დიდ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს. საბედნიეროდ, ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული საშუალებები საშუალებას გვაძლევს დროულად მოვახდინოთ რეაგირება ამ და სხვა დარღვევებზე და სრულყოფილად ვაკონტროლოთ ეს ფართობები. აქ დასაქმებული ყველა რეინჯერი აღჭურვილია სათანადო ეკიპირებით, გააჩნიათ რაციები, ვიდეო-კამერები, ფოტოხაფანგები მაღალი გამავლობის მანქანები, ცოცხალი ტრანსპორტი – ცხენები, საჭიროების შემთხვევისთვის სახანძრო ინვენტარი და სხვა.

– ჩვენს დროში, გარეკახური ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის დაცვა-შენახვის გარდა, ამ აღკვეთილებმა ახალი შინაარსიც შეიძინეს, – ისინი შესაფერის გარემოს ჰქმნიან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მართლმადიდებლობა
ჯვრის თაყვანისცემა

ჯვარი იესო ქრისტეს განკაცებამდე სამარცხვინო სიკვდილის სიმბოლოს წარმოადგენდა, მაგრამ ქრისტეს განკაცებისა და ჯვარცმის შემდეგ იგი გამარჯვების სიმბოლო გახდა და ქრისტიანის ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი დაიკავა. ჯვრით ამშვენებენ ტაძრის გუმბათებს, მას ატარებენ გულ-მკერდზე, ის გამოსახულია ქრისტიანთა ოჯახებში. მორწმუნე ადამიანი საჭიროების დროს ბოროტისაგან დასაცავად პირჯვარს ისახავს.

არ არსებობს ქრისტიანი ჯვრის გარეშე, ისევე როგორც ჯვარი - ქრისტეს გარეშე. ჯვარი, ქრისტეს წყალობით, ცხონების იარაღი, სიხარულის, განწმენდისა და აღორძინების წყარო გახდა. ჯვრით დამარცხდა სატანის ტირანია. ჩვენ მართალნი ვართ, როცა მკერდით ვატარებთ ჯვარცმულ ქრისტეს, „რამეთუ სიტყუა იგი ჯუარისა წარწყმენდულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩვენ ცხორებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს" (1 კორ. 1. 18).

ამასვე მოწმობს ჯვრის შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი: „ქრისტემ ჯვარზე გაკვრით გაანადგურა სიკვდილი, თავისი წმინდა სისხლით განწმინდა ჯვარი და თავისი მაცხოვნებელი სიკვდილით სამუდამოდ აღამაღლა იგი".

ორი ათასი წლის განმავლობაში ჯვარი ინარჩუნებს პირველად მნიშვნელობასა და მაცხოვნებელ ძალას. ეკლესიის ისტორია და წმიდა მამათა ნაშრომები დღესაც მოწმობენ ჯვრის სასწაულთმოქმედების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წმიდა იმპერატორ კონსტანტინე დიდის ცხოვრების მაგალითი. მან, ღვთის განგებით, ცაზე გაბრწყინვებული ჯვარი იხილა და ხმა მოესმა: „ამით სძლიე". მართლაც, ჯვრის შემწეობით კონსტანტინე დიდმა მრავალი მტერი დაამარცხა.

ეჭვგარეშეა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველ ერთგულ შვილს ჯვრის სასწაულმოქმედების შესახებ მოწმობა საკუთარი ცხოვრების მაგალითითაც გააჩნია. ჯვრის მაცხოვნებელი ძალის ყურადსაღები მაგალითი მოთხრობილია წმ. მოწამე ნიკონის ცხოვრებაში. თავდაპირველად ნიკონი წარმართი იყო კერპებს სცემდა თაყვანს. გაწვევისა და მცირედი მომზადების შემდეგ ის ომში გაგზავნეს. ნიკონის დედა ქრისტიანი იყო. საყვარელ შვილთან დამშვიდობების დროს მან თქვა: „განსაცდელის დროს პირჯვარი გადაიწერე!" დედის სიტყვები ნიკონმა ხუმრობად მიიჩნია. იგი მხოლოდ ომში სიკვდილის რეალურ საფრთხეში მყოფს მოაგონებდა, იმწამსვე გადიწერა პირჯვარი და თქვა: „ქრისტე ღმერთო, დამიფარე სიკვდილისაგან და შენი მონა გავხდები". ჯვრის სასწაულთმოქმედი ძალა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან არა მხოლოდ იხსნა ნიკონი, არამედ თავისი ჯარის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეატანინა.

მრავალი გმირული საქციელისათვის დაჯილოებული ნიკონი სახლში დაბრუნდა. მალე იგი მოინათლა და შემდეგ, ღირსეული ცხოვრების გამო, ეპისკოპოსიც გახდა. თავისი ცხოვრება წმ. ნიკონმა მოწამეობრივად დაასრულა. ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ვალდებულია ჯეროვანი პატივი მიაგოს და თაყვანი სცეს მაცხოვრის ჯვარს. ასევე ყოველ ქრისტიანს პირჯვრის სწორი გამოსახვა გვმართებს.

პირჯვრის გარდასახვის დროს ჩვენ შევაერთებთ სამ თითს, რითაც წმინდა სამების სიმბოლოს გამოვხატავთ. დანარჩენ ორ თითს ხელის გულზე მივიკრავთ. ორი თითი ქრისტეს ორ ბუნებას, - ღვთაებრივსა და კაცობრივს ნიშნავს.

ამგვარად დაწყობილი მარჯვენა ხელის თითებით ჩვენ თანმიმდევრულად გადავისახავთ ჯვარს, ჯერ შუბლზე, - გონების განწმენის მიზნით, მუცელზე (ჭიპთან) - სულისა და გრძნობების განწმენდის ნიშნად. შემდეგ კი - მარჯვენა და მარცხენა მხარზე, რათა ყოველი ჩვენი მოქმედება კურთხეული იყოს სიტყვებით: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ".

გარდა ამისა, ყოველ ჩვენგანს ჯვრის უპატივცემულობისა და შეურაცხყოფისაგან დაცვა გვმართებს, თუნდაც სიკვდილის ფასად.

უკანასკნელ ჟამს ხშირად ვხედავთ ჯვრის გამოსახულებებს მიუღებელ ადგილებზე (მაგ. ფეხსაცმელზე), შეტრიალებულ ჯვრებს, როკ-ჯგუფების მიერ ჯვრების შეურაცხყოფასა და ა.შ.

მართლმადიდებელ ქრისტიანს ჯვრით ამგვარი პროფანაციის წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა მართებს.

VI მსოფლიო კრების 73-ე კანონი კატეგორიულად გვიკრძალავს ჯვრის გამოსახულების გათელვას, თუ გინდ ის ქვიშაზე იყოს დახატული, ხოლო დამნაშავის ეკლესიისაგან განყენებას ბრძანებს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან 108 წელი გავიდა

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია 25 მარტს ავტოკეფალიის აღდგენის დღეს აღნიშნავს

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია ანტიოქიის ეკლესიისაგან 457 წელს მიიღო. რუსეთის იმპერიამ კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გააუქმა. ავტოკეფალიის აღდგენამდე რუსეთის სინოდი ქართულ ეკლესიას ეგზარქოსების მეშვეობით ხელმძღვანელობდა.

ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია 1917 წლის 25 მარტს აღიდგინა. მისი დამოუკიდებლობა ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ცნო, თუმცა, ეს წერილობით დადასტურებული არ ყოფილა. რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ 1943 წელს აღიარა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ, ადგილობრივ ეკლესიათა დიპტიხში მეექვსე ადგილზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის უშუალო მონდომებით კი, მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ავტოკეფალია ოფიციალურად 1990 წელს 4 მარტს ცნო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან 108 წელი გავიდა.

ამაგდართა ნაკვალევზე
გარეჯული ფლორისა და ფაუნის დაცვის სამსახურში
მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი ზვიად ტიგინაშვილი:
„მუშავდება ბევრი ახალი გეგმა მოეწყობა ხუთი ახალი საპიკნიკე სივრცე"

დასასრული

ჩვენთან ტურიზმის განვითარებისა და ამით ადგილობრივი მოსახლეობისათვის კერძო ბიზნესის წამოწყებისა და გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის. რამდენადაც ცნობილია, ამ კუთხით, ეს უკანასკნელი წლებია დიდი მუშაობაა დაწყებული მუნიციპალიტეტში, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ზემდგომი ორგანოების მხრიდან – დასრულდა ციგ-გომბორის აღკვეთილებში ტურისტული ბილიკების მოწყობა, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია საგარეჯოში ტურისტების მოზიდვისა და ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის?

– კი, ციგ-გომბორის აღკვეთილში უკვე მოწყობილია ეს ბილიკები, რომლებიც საერთო ჯამში 25 კმ მანძილზე გრძელდება. აქვე, ასევე, მოწყობილია ორი ტურისტული თავშესაფარი თავისი ინფრასტრუქტურით – საპიკნიკე და კოცონების დასანთები ადგილებით. აქედან ერთი მოწყობილია საზაფხულო აგარაკ „კოდაზე" ე.წ. „პირუკუმართთან" და მეორე – ე.წ. „გოგიტაანში". თითოეულ ამ თავშესაფარში შესაძლებელია ერთდროულად 8 ვიზიტორმა გაათიოს ღამე.

– მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი თავისი დაარსების დღიდან ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების დაინტერესებისა და სამეცნიერო მუშაობის ობიექტს წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს იქ დაცული უნიკალური ფიჭვნარების გამო. როგორ იყენებთ ამ შესაძლებლობას თქვენ, როგორც სწავლული მეტყევე-მეცნიერი მეტყევეთა მომავალი კადრების აღზრდის საქმეში?

– მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალში დაცულია კავკასიური რელაქტიური ფიჭვის მსოფლიოში უნიკალური ფორმები, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინა და აღწერა ჩვენმა დიდმა სწავლულმა მეტყევე მეცნიერმა სოლომონ ქურდიანმა. და ოთხ ძირითად სახეობად დაყო. ესენია: ქოლგისებური, პირამიდული, ოვალური და კომპაქტური. ასევე, ყორუღის აღკვეთილში დაცულია საქართველოში უნიკალური გრძელყუნწა მუხის სახეობები, რომელთა გაცნობა-შესწავლის მიზნით ყოველწლიურად ვაწყობთ სტუდენტების ვიზიტებს. სხვათა შორის, მუხის ეს სახეობა, საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი.

– ყორუღი ახსენეთ და ამ 10-ოდე წლის წინ, თქვენი წინამორბედი ადმინისტრაციის უფროსი, ზურა გოცაძის დროს აქ, ე.წ. „წმინდა ფშის" ტერიტორიაზე გადმოვარდნილმა მდინარე ივრის წყალმა გადარეცხა და გამოაჩინა ჩვენს წელთაღიცხვამდე არსებული საკულტო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, რომელთა გათხრებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მაშინდელი ხელმძღვანელი პატარძეულელი კიაზო ფიცხელაური აწარმოებდა. როგორც გაირკვა, ეს აღმოჩენები ადიდებულმა იორმა შემდგომში ისევ დაფარა. აღკვეთილში კი შეიქმნა ახალი სამონადირეო საზოგადება „ივრის ჭალები". რას გვეტყოდით თქვენ ამის შესახებ?

– თქვენგან აღნიშნული აღმოჩენები ადმინისტრაციაში ჩემი მუშაობის დაწყებამდე მოხდა. ამიტომ მათ შესახებ, ბევრს ვერაფერს გეტყვით, იმის გარდა, რაც მაშინ თქვენს მიერ გაზეთში დაიწერა. რაც შეეხება სამონადირეო მეურნეობა „ივრის ჭალებს", მას იჯარით აქვს გადაცემული ყორუღის აღკვეთილის ნაწილი – 830ჰა ფართობი და ახდენს სათანადო მუშაობას.

– მუნიციპალიტეტში ტურიზმის ხელშემწყობ სიახლეებზე ვსაუბრობდით და რა ბედი ეწია და რატომ ვერ აშენდა გიორგიწმინდაში დაანონსებული ტურისტული ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობდა ვიზიტორთა რიცხოვნობის ზრდას და ამით საოჯახო და კერძო ბიზნესის განვითარების საქმეს?

– როგორც მოგეხსენებათ, ეს ცენტრი უნდა აშენებულიყო სოფელ გიორგიწმინდის ტერიტორიაზე, კახეთის გზატკეცილის სიახლოვეს და გარკვეული წინასამშენებლო სამუშაოებიც ჩატარდა, მაგრამ ამას დაერთო კორონა-ვირუსის საყოველთაო პანდემია და ამ და სხვა მიზეზების გამო ეს საქმე ვერ განხორციელდა. თუმცა, იდეაში ეს საკითხი ისევაა და იმედი მაქვს, დადებითად გადაწყდება. მანამდე კი, ვიზიტორების მიღება შეგვიძლია აქ „რეინჯერთა სახლში", რომელიც დროებით ადმინისტრაციის ადგილსამყოფელის ფუნქციასაც ითავსებს.

– გაქვთ კი აქ მათი მიღების შესაძლებლობა?

– როგორ არა! დირექციის, დაცვის განყოფილების უფროსის, რეინჯერთა ოთახის გარდა ცალკე გამოყოფილია საკონფერენციო სივრცე, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 20 ვიზიტორისათვის სათანადო მომსახურების შეთავაზება და გაწევა.

– ეს რა ჯილდოიები გაქვთ წიგნების თაროზე?

–- ესენია ჩვენი სამინისტროს მიერ გადმოცემული სიგელი „საუკეთესო პროფესიული საქმიანობისათვის" და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ვასილ გულისაშვილის სახელობის ჯილდო „ტყის ქომაგი".

– როგორც გამჩნევთ საუბრის დასრულებას ჩქარობთ და გასაგებიცაა, თუმცა კიდევ ბევრ საინტერესო თემაზე შეგვეძლო საუბარი. არა უშავს, მოდით, ეს მომავლისათვის გადავდოთ და ბოლო შეკითხვით მოგმართავთ – რა სიახლეებია მოსალოდნელი მიმდინარე 2025 წელს საგარეჯოელი რეინჯერებისა და თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობაში?

– როგორც წინა წლებში, 2025 წელსაც ბევრ სიახლეს ველით ჩვენს საქმიანობაში. პირველ რიგში დასრულდება „რეინჯერთა სახლის" ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, მუშავდება ნარჩენების მართვის გეგმა ახლადშექმნილი ციგ-გომბორის აღკვეთილისათვის, ტურისტული განვითარებისა და მენეჯმენტის გეგმა, რომელიც უკვე მომზადებულია საჯარო განხილვისათვის. ტურისტებისათვის მოეწყობა ხუთი ახალი საპიკნიკე სივრცე სხვადასხვა ლოკაციებზე და სხვა. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, ვაგრძელებ როგორც დაწყებულ სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მუშაობას. ვარ რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტის მონაწილე, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროექტების ხელმძღვანელი და სხვა.

– კარგით, დღეს ამით დაგემშვიდობებით და გისურვებთ დიდ წარმატებას როგორც სამსახურებრივ, ისე პირად, ოჯახურ და სამეცნიერო მუშაობაში, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერისა და ჩვენი მომავალი თაობების საკეთილდღეო საქმიანობაში!

ესაუბრა
გივი დაბახიშვილი

სპორტი

ძიუ-დო

ბრინჯაო ხორვატიიდან



მარტის პირველ ნახევარში ხორვატიაში ჩატარდა „ევროპის თასი-2025“ გათამაშება ძიუ-დოში 2008-2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ გიორგიწმინდის ძიუდოს სექციის (მწვრთნელი **გოჩა მეკოკიშვილი**) აღსაზრდელი **ლუკა დარისპანაშვილი**. მიუხედავად გადატანილი ავადობისა, რის გამოც მან მონაწილეობა ვერ მიიღო საქართველოს ჩემპიონატში, ლუკამ შეძლო 60კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება, რაც არც თუ ისე ურიგო შედეგია ასეთი დონის შეჯიბრებაზე.

ლუკას და მის მწვრთნელს ვულოცავთ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ უფრო უკეთესი შედეგების მოპოვებას ჩვენი ქვეყნისა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ასპარეზობებში.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

გარეჯელ „კლასიკოსთა“ წარმატება გორში



21-23 მარტს გორში ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც ქვეყნის ამ სტილის სხვა ფალავნებთან ერთად თავიანთ ძალებს ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელ ***თამაზ ყიფიანის*** ოთხი მოჭიდავეც სცდიდა თავის ძალებს. ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი, ასეთია მათი „ნადავლი“ ქვეყნის პირველობიდან.

აქედან, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ჩვენი საგარეჯოელი ფალავანი, ევროპისა და 2023 წლის ბრაზილიის მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ლუკა მარტიაშვილი.** ეს უმაღლესი ჯილდოები მან 92 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა, სადაც გამართული ოთხივე შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

რაც შეეხება ბრინჯაოს მედალს, იგი 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ბურდიანელმა **შოთა ტაბატაძემ** მოიპოვა, რომელმაც გამართული 5 ორთაბრძოლიდან ოთხი გამარჯვება იზეიმა და ერთხელ მოუხდა მისი დათმობა. აქვე აღსანიშნავია ის, რომ როგორც თამაზ ყიფიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, შოთა არა თავის წონაში (93კგ), არამედ 17 კილოგრამით მეტ (110კგ) წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და მაინც შეძლო საპრიზო სამეულში შესვლა. როგორც ჩვენი „კლასიკოსების“ მწვრთნელმა გვითხრა, **ლუკა მარტიაშვილი** ემზადება ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, რომელიც ივნისის ბოლოს მაკედონიაში ჩატარდება და დიდი იმედი გამოთქვა, რომ ლუკას დიდი შანსები გააჩნია იქ ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

ვუსურვოთ ლუკას და მის მწვრთნელს ამ დიდ ასპარეზობაშიც გამარჯვებას!

კრივი

ნიკას პირველი წარმატებები – ბრინჯაო ბათუმის რინგიდან

თოხლიაურელმა ზაზა და თამუნა ყიასაშვილებმა, თავიანთ პატარა ვაჟს, ნიკას, როცა „ჩხუბის მოყვარულობისკან“ მიდრეკილება შეატყვეს, დიდხანს არც უფიქრიათ და ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ კრივის სექციაზე შეიყვანეს სავარჯიშოდ: რაღა სოფელში იმტვრიოს თავპირი და თანატოლებს ადინოს ცხვირიდან სისხლი, ივარჯიშოს და იქ მოიკლას ჩხუბის წადილიო. ეს ამ ორიოდე წლის წინ მოხდა. ასე გახდა ამჟამად თოხლიაურის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე **ნიკა ყიასაშვილი** კრივის ახალგაზრდა *მწვრთნელ* **გიორგი კოხტაშვილის** მოსწავლე, რომელსაც არაერთი პერსპექტიული დამწყები გარეჯელი მოკრივე ჰყავს აღზრდილი, მათ შორის ისეთები, რომლებმაც უკვე შეძლეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულების მოპოვება.

და აი, გავიდა კრივის სექციაში ნიჭიერი მწვრთნელისა და მისი მოსწავლის ორწლიანი მომზადების ვადა და ნიკა 20 თებერვალს ბათუმში 2009-2010 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის გამართულ რესპუბლიკური ჩემპიონატის რინგზე დადგა, 57 კგ წონით კატეგორიაში. პირველი ორთაბრძოლა სამეგრელოს წარმომადგენელ მეტოქესთან ნიკამ დამაჯერებელი ანგარიშით მოიგო, შემდეგ კი დაამარცხა მასპინძელი ბათუმელი მოკრივე. თანაბარი სიძლიერით მიჰყავდა მესამე შეხვედრა თბილისელ მოწინააღმდეგესთანაც, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ შეძლო მეტოქეობის გაწევა თავისზე გამოცდილ და გასული წლის საქართველოს ჩემპიონ მოკრივესთან და ანგარიშის დათმობა მოუხდა. ამ შედეგით იგი რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილითა და შესაბამისი – ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა საგარეჯოში.

როგორც ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ მწვრთნელმა გიორგი კოხტაშვილმა გვითხრა, ნიკას შეეძლო ნახევარფინალშიც მოეპოვებინა გამარჯვება, მაგრამ გამოცდილება არ ეყო და თანაბარ ბრძოლაში დათმო ეს შეხვედრა. არა უშავს, დამწყები მოკრივესათვის რესპუბლიკურ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლის მოპოვება ურიგო შედეგი არაა და გიორგი კოხტაშვილისა არ იყოს – გვჯერა, რომ ახლო მომავალში ნიკას სახით კიდევ ერთი გამორჩეული მოკრივე შეემატება ქართულ და გარეჯულ კრივს.

მოქმედი ფალავანის მამულიშვილური გადაწყვეტილება

ირაკლი კუპატაძემ ფალავანთა აღზრდასაც მოჰკიდა ხელი

***მანაველი** სამბისტისა და ძიუდოისტის ირაკლი კუპატაძის სახელი კარგა ხანია ტრიალებს ქართულ საჭიდაო წრეებში, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული გარეჯელი მოჭიდავისა. 1996 წელს დაბადებულმა, 10 წლის ასაკში დაიწყო ძიუდოსა და სამბოს საიდუმლოებების დაუფლება მაშინდელ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების მწვრთნელ მამუკა მათიაშვილთან და ნუკრი გაგნიაშვილთან, ყოფილ გარეჯელ ტიტულოვან ფალავნებთან და სპორტული ბუნებითაც დაჯილდოებულმა, ნელ-ნელა გაიკაფა გზა მაღალი შედეგებისაკენ. გენები ვახსენეთ და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მისი მამა პაატა კუპატაძე ახალგაზრდობაში თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში სცდიდა ძალებს, მაგრამ ბოლომდე არ გაჰყოლია სპორტს. მამიდა – რუსუდან კუპატაძე პირველი გარეჯელი გოგონა იყო, ვინც ძიუდოს კიმანო მოირგო და ქვეყნის მასშტაბით გამართულ ასპარეზობებში მეტ-ნაკლები წარმატებით იღებდა მონაწილეობას. ჰოდა, ასეთი გენებისა და გამოცდილი მწვრთნელების ხელში მყოფმა ჭაბუკმა პირველი დიდი წარმატება მალევე იზეიმა. 2012 წელს, თბილისში, ძიუდოს აკადემიის ტატამზე გამართულ საქართველოს ჩემპიონატში ჩემპიონი გახდა 58 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტებში, საიდანაც სათავეს იღებს მისი შემდგომდროინდელი წარმატებები. ამაზე არაერთხელ დაწერილა და აღნიშნულა ჩვენს გაზეთში. ჩვენი ამ საგაზეთო სტატიის დაწერა კი ირაკლის მიერ საქართველოს ჩემპიონატებში მოპოვებულმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში: ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობებში მიმდინარე წლის წარმატებებმა და იმ გადაწყვეტყოლებამ განაპირობა, რაც ჯერ კიდევ მოქმედმა სპორტსმენმა ამ წლის დასაწყისშივე მიიღო – გახდა ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელი და თავის მწვრთნელებთან ერთად – მამუკა მათიაშვილთან და ნუკრი გაგნიაშვილთან ერთად ხელი მოჰკიდა ძიუდოსა და სამბოში მომავალი გარეჯელი ფალავნების აღზრდას.*

ჩვენს ფალავანსა და მწვრთნელს ამ დღეებში საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე მაშინ შევხვდით, როცა უკვე კოლეგა მწვრთნელებთან ერთად თავის აღსაზრდელებს ავარჯიშებდა. მას თან ახლდა მამის პირველი სიხარული 4 წლის ანაბელი, ეჭვი არაა, მომავალი ფალავანი ქალი (მამისა და პაპიდის გენების გათვალისწინებით). ირაკლის მივულოცეთ წლის დასაწყისში საჭიდაო არენაზე მოპოვებული წარმატებები, მწვრთნელობის დაწყება და კიდევ ერთხელ გადავხედეთ მის მიერ მოპოვებულ წარმატებებს.

– ირაკლი, 2025 წლის დასაწყისიდან განვლილ ორიოდ თვეში შენ მიიღე მონაწილეობა თბილისში და ლელიანში გამართულ სამ ჩემპიონატში. გახდი ძიუდოს ბრინჯაოს, სამბოში – ვერცხლის მედლის მფლობელი. ლელიანში კი 60 კგ წონით კატეგორიაში ქართულ ჭიდაობაში – ჩემპიონი. თუ არ ვცდები, საქართველოს ჩემპიონის ტიტული შენ სხვა წლებშიც გაქვს მოპოვებული, არა?

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოპოვებული მაქვს ოთხჯერ, ასევე ვარ ოთხგზის საქართველოს ჩემპიონი სამბოში, დიდების ასაკში.

– ჭიდაობის დაწყებიდან განვლილ პერიოდში ევროპის ჩემპიონობის მოპოვებაც მოასწარი...

– სამბოში ევროპის ჩემპიონის წოდება სამჯერ მაქვს მოპოვებული ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში დიდების ასაკში კი ვარ ევროპის პრიზიორი 60 კგ წონით გატეგორიაში.

– მგონი, ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატშიც გაქვს წარმატებები?

– კი, ვარ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც კორეაში ჩატარდა. ასევე, ვარ საბერძნეთის ილიას ილიადისის თასის გამარჯვებული.

– ყაზახურ ნაციონალურ ჭიდაობაში – კაზახ კურესშიც წარმატებით იჭიდავე და ჩემპიონი გახდი...

– ყაზახურ ჭიდაობა კურესში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ორჯერ მაქვს მიღებული მონაწილეობა, სადაც ვჭიდაობდი 60 კგ წონით კატეგორიაში და ორჯერვე გავხდი ჩემპიონი. აქედან პირველი ჩემპიონატი გაიმართა საქართველოში, ბათუმში, მეორე კი პოლონეთში.

– ხარ ძიუდოსა და სამბოში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, აქედან გამომდინარე, გაქვს ბევრი ახალი წარმატების მოპოვების შანსი, მაგრამ ჩემის აზრით, ყველაზე დიდი საქმე, რასაც შენ საქართველოს და საგარეჯოს უკეთებ, ისაა, რომ ხელი მოჰკიდე ჭიდაობის გარეჯული სკოლის მომავალი ფალავნების აღზრდის საქმეს, რაშიც დიდ დახმარებას ის ცოდნა-გამოცდილება გაგიწევს, რაც შენი ჭიდაობის მანძილზე დაგროვე. როგორია შენი, როგორც საგარეჯოს სპორტგაერთიანების ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელის მიზნები?

– მიზნები და ამოცანები დიდია და იმედია, რომ ჩემი საერთო ძალისხმევით მათ დადებითად განვახორციელებთ და ამას სულ ახლო მომავალი დაგვანახებს.

– ირაკლი, შენ მანაველი ხარ და ხომ არ ფიქრობ, შენი ძალები მანავშიც მოგესინჯა?! წინა საუკუნეში აქ თავისუფალი ჭიდაობის საკმაოდ წარმატებული წრე ფუნქციონირებდა. სხვაც რომ არაფერი იყოს, ეს ხომ შენი, გურამ გოგოლაურის, ნუკრი მახარობლიშვილის, ზურა ტერტერაშვილის სოფელია. ისე, რომ აქაც შეიძლება კარგი მოჭიდავეების აღზრდა.

– გეთანხმებით. მანავი კარგი სპორტული ტრადიციების მქონე სოფელია და აქაც შეიძლება სახელოვანი ფალავნების აღზრდა. როგორც მოგეხსენებათ, აქ დაწყებულია საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო-მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც იგეგმება თანამედროვე სტანდარტების სპორტული ბაზის მოწყობა, რაც დაგვეხმარება ამ საქმის წარმატებით გადაჭრაში, რისი დიდი იმედი გვაქვს.

– წარმატებები აქტიურ სპორტსა და შენს სამწვრთნელო სარბიელზე!

გვერდი მოამზადა *გივი დაბვახიშვილმა*

გარეჯელები

სასკოლო ოლიმპიადაზე სპორტული ფორმებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** სპორტული სასკოლო ოლიმპიადის რეგიონალური ტურის მონაწილეებს შეხვდა, სასკოლო გუნდის მწრთვნელებსა და წევრებს სპორტული ფორმები გადასცა და წარმატებები უსურვა.

რეგიონულ სპორტულ სასკოლო ოლიმპიადაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები გეზრბენში, კალათბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ფრენბურთის სახეობებში იასპარეზებენ.

„ნოვრუზ ბაირამი“ სკოლაში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ.იორმუღანლოს საჯარო სკოლაში “ნოვრუზ ბაირამთან” დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებმა მრავალფეროვანი პროგრამით დამსწრე საზოგადოებას სახელმწიფო და მშობლიურ ენებზე წარუდგინეს და უკეთ გააცნეს აზერბაიჯანული წეს-ჩვეულებები, კულტურული ელემენტები და დამოკიდებულებები აღნიშნული დღესასწაულისადმი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი **ლელა ფანოზიშვილი,** ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი **ელენე ხებრელაშვილი** და სხვა მოწვეული სტუმრები...

“ნოვრუზ ბაირამი” აღიარებულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მისი იდეა სიცოცხლის ახალი იმედებით, ძალით, ენერგიით განახლებაა...

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა!

შეხვედრა

გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შეხვდა, საჭიროებებზე ესაუბრა და და სასჩუქრე ვაუჩერები გადასცა. ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში - კი სპეციალურად დამზადებულ საინფორმაციო სტენდთან ფოტოსესია მოეწყო.

***„აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად გაგრძელდება და დაუნის სინდრომის მქონე თანამოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება. ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ მათი თვითრეალიზაციის პირობების შესაქმნელად“ - აღნიშნა* ავთანდილ გულიკაშვილმა**

პროფესიული დღეები მიულოცეს

ქართული ჟურნალისტიკის დღე

ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** ადგილობრივი გაზეთის “გარეჯის მაცნე”- ს თანამშრომლებს რედაქციაში პირადად ესტუმრა, პროფესიული დღე მიულოცა, გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ტყის საერთაშორის დღე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად ტყის საერთაშორის დღესთან დაკავშირებით, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ესტუმრა, პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ადმინისტრაციის დირექტორმა, ზვიადი ტიგინაშვილმა სტუმრებს საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ტყეებზე, მათ მნიშვნელობასა და დაცვით ფუნქციებზე კლიმატის ცვლილებების ფონზე. ამასთანავე, დაცული ტერიტორიების როლზე საქართველოს ტყეების დაცვის საქმეში.

ისაუბრა, დაცული ტერიტორიების შექმნის ისტორიაზე და ჩვენი თანამემამულე ღვაწლმოსილი, სახელოვანი მეცნიერების - პროფესორ ზაქარია ქურდიანის და აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის როლზე დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნის საქმეში, რომელთა სახელსაც ცივ-გომბორის აღკვეთილში არსებული ორი ტურისტული ბილიკი ატარებს. რეინჯერებთან და სტუმრებთან ერთად, განიხილეს ადმინისტრაციის გამოწვევები და დასახეს მათი გადაჭრის გზები.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე